№ 25 თებერვალი 2, კვირა — 1892 — თებერვალი 2, კვირა № 25

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, გუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ტფილისი, 1 თებერვალი

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ ჯანდიერის სარჩიელმა საზოგადო, სასოფლო ზვრის გაშენების თაობაზე ზოგიერთი იმისთანა აზრი გამოიწვია თურმე საგარეჯოში ხალხის კრებაზე, რომელსაც არ შეიძლება კაცმა წუნი არ დასდოს, თუ კაცი ღრმად განსჭვრეტავს შინაგანს აზრს სარჩიელისას, ღრმად ჩაჰხედავს გულში და ისე გამოარკვევს იმ სარჩიელის გულ-ნადებსა. აქ აზრი იმაშია, რომ სოფლის გლეხ-კაცობას იმისთანა საერთო, სასოფლო, საზოგადო საქმე აუჩნდეს, რომელსაც ხელითაც მისწვდება და გონებითაცა თვითონ გლეხ-კაცობა. ეს პირველი და უპირველესი ღირსებაა იმისთანა საქმისა, რომლის გამარჯვებაც სასურველია და რომელსაც შესაძლოა კაცმა საზოგადო საქმე უწოდოს. შესაძლოა კაცმა ბევრი სხვა უფრო უკეთესი საზოგადო საქმე ურჩიოს ხალხსა თუ საზოგადოებას, მაგრამ ამისთანა საქმეს დიდი მანძილი არ ექნება და დაბადებისავე უმალ გაქარწყლდება, თუ ხალხის ან საზოგადოების ხელი და გონება მთელს მის სიგძე-სიგანეს ვერ გადასწვდება.

სასოფლო, საზოგადო ზვარის გაშენება, საზოგადო შრომით და გარჯით მოვლა და პატრონობა ჩვენის გლეხ-კაცობისათვის ადვილად მისახვედრია, ადვილად გასაგები. ამ სიადვილეშია პირველი ღირსება ამისთანა სარჩიელისა და პირველი თავდებობა იმისი, რომ საზოგადო საქმე მაგრად მოიკიდებს ფეხს და თავის ჯეროვანს სვეს გამარჯვებით გაიტანს. რომ მართლა ადვილად მისახვედრი იყო სარჩიელი ბ-ნ ჯანდიერისა საგარეჯოელთათვის, ეგ ცხადად სჩანს იქიდამ, რომ არც ერთს ფიქრადაც არ მოსვლია ამ მხრით ტოკვა და ყოყმანობა რამ დაეწყო. ხოლო თუ რამ ითქვა, იმის თაობაზე ითქვა, რომ ამ საქმეს ვერ მოვუვლითო. ჩვენდა სამწუხაროდ, ერთს წამოსცდენია კიდეც ამისთანა სიტყვა, ერთი შეგვატყობინეთო:

„ამ საქმეს მარტო ჩვენნი გლეხ-კაცნი უნდა განაგებდნენ მთავრობის დაუხმარებლად (?), თუ როგორ? უკეთუ სულ ჩვენის ხალხის ანაბარად დარჩა საქმე, ის ბევრს არ იბოგინებსო“... „მგონი ეს საქმე ჯერ ჩვენში ადრეა, ბინას არ დაიჭერს, ვერ მოვუვლითო“.

საკვირველია, ღმერთმანი, ეს ჩვენი ამბავი. ქვეყანა სულ ამას სჩივის და ჰყვირის, ჩემი საქმე მევე უნდა მებაროს, რადგანაც მისი ავლა-დიდება, მისი ავი და კარგი მე უფრო მეცოდინება, ვიდრე საიდამ სად მოსულსაო, და აჰა, მოდიან და გვეუბნებიან: აი საქმე, რომელიც თქვენც ჭკვაში მოგდით და რომელიც მართლა თქვენი საკუთარი საქმეა, ჩაიბარეთ და უპატრონეთო. ჩვენ რა პასუხს ვაძლევთ? საქმე კარგია, ჩვენი საკუთარია, მაგრამ ჩვენ-კი შორს მისგან, ვერ მოვუვლით, შევჭამთ, შევსვამთ და თუ მაინც არ იშლით, ჩვენ გამოგვაბარეთ და სხვას ჩააბარეთო. ზემო მოყვანილ თქმულიდამ, რომელიც ჩვენ ამოვწერეთ, თითქმის ეს გამოდის და აი სწორედ ეს არის ის ფონი, რომელიც ერთს ადგილას არჩობს.

ის მაგალითები შეჭმისა და შესმისა, რომელიც ამის მთქმელს მოჰყავს, ჩვენა გვგონია, აქ საბუთად უარის თქმისათვის სახმარისი არ არის. თუ ამისთანა შესაწუხებელს ამბავს სადმე ალაგი ჰქონია, სადმე თავი უჩენია, ეგ ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც გადაბრუნებული ურემი, რომელიც გზას გამოაჩენს ხოლმე. მაგისთანა მაგალითები მარტო ჭკუაა შემდეგისათვის და არა ხარიხა და არა ბორკილი. მაგ მაგალითებით რომ ეხლა ხელ-ფეხი შევიკრათ, მაგ მგლის შიშით რომ ცხვარი აღარ გავიჩინოთ, მაშ სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ ყოველს საზოგადო საქმეზე.

ადამიანი იმ სვეზეა დაბადებული, რომ ყოველიფერში ჯერ წრთვნა უნდა. ადამიანი არც ერთს კეთილს ისე არ მისწდომია, რომ ჯერ ბევრჯელ ფეხი არ წასცკრას, არ წაქცეულიყოს, არ შემცდარიყოს. მისდა საბედნიეროდ, ამ წაქცევ-ადგომით სვლას-კი არ შეუყენებია იგი, არამედ ჭკუა უსწავლებია და, რაც ავი და კარგი გარდახედია, ყოველივე ის გამოუყენებია შემდეგისათვის და უფრო ძლიერ წინ წასულა. განა ცოტა დამრჩვალა წყალში, ვიდრე კაცს ცურვა უსწავლია? ამით მითამ რაო? წყალში შესვლა ავუკრძალოთ კაცს მაშინ, როდესაც საჭიროა კაცმა ცურვა ისწავლოს? საზოგადო საქმეც, თუნდა იმისთანა, როგორიც სასოფლო საერთო ზვარის აშენება და მოვლაა, იგივეა ჩვენის გაწვრთვნისათვის საზოგადო საქმის მოსავლელად, რაც წყალია ცურვისათვის. დაჰკეტეთ ამისი კარი და საზოგადო საქმის მოვლისა და პატრონობის ცოდნასაც კარს დაუხშობთ და სულსა და გულს, ამისათვის გასაღვიძებელს, კარ-ჩაკეტილში ამოარჩობთ. ჩვენის ფიქრით, ვისაც ერის მოკვლა უნდა, სწორედ ეს უნდა ჩააწვეთოს და დააჯეროს: „ხელი აიღეთ თქვენს საკუთარს საერთო საქმეზე, უკეთუ სულ თქვენს ანაბარად დარჩა საქმე, ბევრს არ იბოგინებს, ბინას არ დაიჭერს, ვერ მოუვლითო“.

აბა მიიხედ-მოიხედეთ თუ ამისთანაებით არ უკვლენ ხალხს გულსა და, რაკი გული მკვდარია, მთელი კაციც უღონოა, უძლურია, ყურ-მოჭრილია, ერთის სიტყვით, მკვდარია თავის თავისთვისაც და სხვისთვისაც. თავისთავზე ხელაღებული—ცალკე ადამიანია, თუ კრებული, სახელდობრ, სოფელი, საზოგადოება—თავისს თავზე იმედ-გადაწყვეტილი, იმედ-გაუქმებული რიღას მაქნისია? ამისთანა ცოცხლადვე დასამარხია და ნუ თუ ჩვენ უნდა დაგვაჯერონ, რომ დღეს ამ ყოფაში ვართ ჩაცვივნულნი?

ჩვენ გვებარება ჩვენის ზვრის საქმე, თუ სხვასაო? ეს რომ იმისათვის იყოს კითხული,—თუ სხვას ებარება ჩვენი საქმე, თავს არ დაიჭერსო,—ამ საფუძვლიანს სიტყვას წინ რა დაუდგებოდა. ამის მთქმელს სულ სხვა აზრით უკითხავს, როგორც მის სიტყვისაგანა სჩანს: თუ ჩვენ გვებარება, წავხდებით, ვერ მოვუვლითო. აი ეს არის ყურისათვის ეკალი ეხლანდელს დროში და დახე იქ დამსწრე გლეხიც-კი მიმხვდარა ამას.

გლეხი ბურცანაძე, როგორც იმის დამჯდარ სიტყვისაგან სჩანს, იმას-კი არ უფრთხის, რომ ეს საქმე ჩვენ გვებარება და ვერ გავუძლვებითო, პირ-იქით, იმას ჰშიშობს, რომ ჩვენ ხელიდამ არ გაგამოგვეცალოს ბოლოს ეს ჩვენი ნაჭირნახულევი საქმეო.

„იქნებაო, უთქვამს იმას: როცა ვენახი გავაშენოთ და ვაზით ავავსოთ, წაგვართვათ და სახელმწიფოდ დარჩესო“.

ამის სალს ჭკუას უფრო პირდაპირ შეუხედნია საქმისათვის და ჰსურვებია საქმის რიგიანად შემოზღუდვა იმ მხრით, რომ სხვა არავინ ჩამოგვერიოს, ჩვენ ვიცოდეთ ჩვენი საქმეო და ჩვენ გვეკუთვნოდესო. ამ მხრით, რა თქმა უნდა შესაძლოა საქმის ისე დაჭერა, რომ სხვას არავის ხელი არა ჰქონდეს იმ ზვართან, რომელსაც საგარეჯოელები საერთოდ გააშენებენ.

არც იქ დამსწრეს ბ-ნს ბაქრაძეს

---

# ფელეტონი

## ფშაველ ლოთის სიმღერა

ლოთს მეძახიან ჯალაფნი,
ლოთსვე მეძახის ქვეყანა,
ვარ და ვერ დავიარავებ,
ლოთად მიცნობენ ყველგანა.
ვინ დაიჯერებს თოვლზე ვსთქვა,
შავია, თეთრი არაო,
ვინც წენგოსა სჭამს, იმაზე—
ატკბობს, არ დაამწარაო.
რა ვქნა, უსმელად ვერ გავძლებ,
თუნდა ჩამქოლოთ ქვითაო;
დარდი მაქვ, მძიმე, ძმობილო,
გულს დაბჯენილი რქითაო.
სხვით არაით მშორდება,
თუ არ სასმელის სმითაო:
როცა ან არაყათ შავსომ,
ან გამოვთვრები ღვინითა,
თავი ყეინი მგონია,
წვერ-შაღებილი ინითა;
ბოლმა მე ველარ მერევა,
დარდებს მე ვათრევ კბილითა:
დავლევ და კუჯს მივაბარებ
ჩემის ცოდვილის პირითა,
ეგება იქ დაისვენოს,
თავი გაირთოს ძილითა
და ადრე არ მომესიოს,
რო გავიღვიძებ დილითა.
როცა რას შავსომ, მაშინა
კაცი ვარ დავლათიანი,—
უმისოდ ბეჩავს თვალები
მიხდება ამლათიანი!—
ყელში საუბარს დავიწყებ,
ჰკვიანურ მამდის სიტყვაცა.
მიყვარს დუქანში მოსულის
ამბის და ყოფნის კითხვაცა,
ან ჩარექაით, ან სტაქნით
ღვინო-არაყის მიწვდაცა.
სუყველა მიყვარს დუქანში:
სასწორ-არშინი, ჩოთქიცა,
ჩარექა, ტიკი, ტიკჭორა,
პირ-მოღიმარი ბოთლიცა.
მაგრამ რომ გამამფხიზლდება,
ჩოთქიც დაიწყებს წკრიალსა,
უჯავრობ ჩემსა მუცელსა,
ამ გაუმაძღარს, ტიალსა...
ეს არის ჩემი ეშმაკი,
ჯიბეს ეს აძლევს ზიანსა!..
მივალ შინ დაღონებული
მოვიბეჩავებ თავასა...
მამესევიან ჯალაფნი
და ამიტეხენ დავასა.
ცოლიც ჩემს მუცელსა ჰლანძღავს,
დედა, მამა და ძმებიცა;
ჩემს სალანძღავად იდგამენ
ენას უენო ქვებიცა!

ვაჟა-ფშაველა

---

## წკიპურტი *) 3.

რითი ისახელა თავი იანვრის უკანასკნელმა კვირამ?—რა გამოირკვა?—ჩვენი რკინის გზა და სულთამხუთავი.—შესაწყნარებელი მიზეზი.—„კენჭობია“ რამ ასტეხა?—„ოდა სახედარის მიმართ“.—პოეტი მალაქია—ვირის ეპიტაფია.

მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი ხომ ყოველთვის აკლია და ხშირად სულ უბრალო მიზეზს დიდად ბრალიანი საქმე მოჰყვება ხოლმე. მაგალითებრ, წარმოიდგინეთ, რომ ქუთაისის საქალაქო არჩევანთა გამწვავებისა და დამლაშების მიზეზი, სხვათა შორის, ერთი უდროოოდ გარდაცვალებული და მარად სახსოვარი სახედარი ყოფილა. აი რასა სწერს გაზ. „Нов. Обоз.“-ში ერთი მწერალი ამ არჩევანთა აწეწ-დაწეწვისა და გაჯახირების ამტეხ მიზეზის შესახებ:

ჯერ კიდევ კარგა ხნის წინად, ამ არჩევანების დაწყებამდე, ქუთაისის მკვიდრთა შორის დრტვინვა გაისმოდა, რომ გამგეობა არას აკეთებს, ქალაქის ფინანსების საქმე ბედის ანაბრობაზეა მიგდებული, სასანიტარო მხრივ ქალაქი ცუდს მდგომარეობაშია, ქალაქის განაპირა ადგილები გაუნათებელია, დასასრულ, მეტის-მეტად ცუდს მდგომარეობაშივეა ქუჩები. ყველამ უწყის, რომ ქ. ქუთაისში ზოგან, ქუჩების მაგიერ, მხოლოდ ტალახი და ტლაპოა, სადაც პირუტყვები ხშირად ვარდებიან და იღუპებიან. მე თვით ვიყავი მნახველი, რომ 15 იანვარს, დილით, პეტრე-პავლეს ეკკლესიის მახლობელს ქუჩაზედ, თითქმის ქალაქის შუაგულს, მკვდარი ვირი იპოვნეს, რომელიც ტლაპოში ჩავარდნილიყო და ვერაფრით ვერ ამოეყვანათ.

მართლაც-და, მოდი და ვირი ტალახიდვან „ამოიღეთ“, როდესაც ასეთი უშველებელი ტლაპო ყოფილა. ჩვენ აქამდე გვეგონა, რომ ქუთაისში ორი დასი იბრძვის ერთმანეთ შორის, დასი ინტელიგენციისა და ვაჭარ-ებრაელთა, და თურმე-კი... ვინ იფიქრებდა?... საბრალო ვირი!...

ვირო, თუმც მოკვდი და საქმე
მოგისდა ცუდი და ავი,
მაგრამ ქვეყნად-კი დარჩება
შენი საბრალო ამბავი.

—

ავი დღე ელის იმათაც,
რომელთაც ბოლო მოგიღეს,
დიდ-ყურა, ტანჯულ-გვემული,
ტლაპოდგან არ ამოგიღეს.

—

დასი დასს ებრძვის შენ გამო,
ქვეყანა შეხეთქებულა;
შენის ბედკრულის ამბითა
ძმა ძმაზე აშხედრებულა.

ეს „ოდა სახედარის მიმართ“ ერთს „სარკმელ ქვეშ მდგომს“ პოეტს ეკუთვნის. საზოგადოდ, ქუთაისის „კენჭობიამ“ ბევრი მოლექსე-მოშაირე დაჰბადა. მაგალითებრ, აი ერთი ქუთათური, როგორ გვამცნევს თავისს მწუხარებას „კენჭობიას“ გამწვავების გამო:

არ გეშველა არაფელი
კენჭის ყრის გათავებასო;
დეიწყეს და დეიფუშა,
ვერ ველირსეთ „დასნობასო“.
„იაშჩიკი“ ქე დევიდგი,
მაგრამ აღარ მაცალესო
მესამე დღეს კენჭობიის
„ზასედანია“ დახურესო...
კალისტრატე, მოგკვესმარე,
ლუკა, თავი იჩინეო,
მიხაკია, დაიჩქარე,
ლუარსაბა, გვიჩვენეო!

ამ ორივე ლექსს თავ-თავისი ნაკლი აქვს. პირველს ლექსში თუმცა „მუსიკაც არის დაცული და რითმაც“, მაგრამ ლექსის ავტორს ვირის მეტი ვერაფერი დაუნახავს. მეორე ლექსიკი, ჯერ ერთი, ძალიან ჰკოჭლობს და, მეორე, არა სჩანს, ვისი მომხრეა ბ-ნი ქუთათური მოლექსე, კალისტრატესი, თუ ლუკასი? ხოლო რაც შეეხება ტალახში ჩაფლულს ვირს, ჩვენის აზრით, კარგს იზამდნენ, რომ იმის სამარეს ეპიტაფიად ეს ორი სტრიქონიც აკმარონ:

მძლეია პოვნა ვირისა
საბჭოსგან განაწირისა!..

ჩიორა

*) ეს ფელეტონი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო სრულად ვერ იბეჭდება.
რედ.

მოსწონებია გაძნელება ამ ადვილად შესასრულებელის საზოგადო საქმისა და უთქვამს: „საცა სურვილია, იქ ყველაფერი ადვილია. რაც შეეხება იმას, ვერ მოვუვლითო, ამას უნდა ბოლო მოვუღოთო... გვეყო ბავშვობაო-“

მართალია, გვეყო ბავშვობა. ეგ როგორ უნდა ვსთქვათ, რომ სხვამ თუ არ მიიბარა ჩვენი საქმე, ჩვენ ვერ მოვუვლითო, სულ ამაოაო. არ გვეყო ამდენი სხვის მაყურებლობა? რა მოგვცა სხვის პირში ცქერამ გარდა იმისა, რომ ჩვენს თავზე იმედი გაგვიუქმა და დღეს პირი დაგვიღია და ვიძახით: თუ სხვა არ მოვა და პირში ლუკმას არ ჩამიდებს, დავიქეც, დავიღუპეო. ისტორია მარტო ამას უდადებს ყოველს ერს, რომ თუ გინდა ქვეყანაში ყოფნა, სხვის კალთას ნუ ეჭიდები, შენ თვითონ იმოქმედე, შენ თვითონ დაიჭირე შენი საბელი ყელისა, შენ თვითონ უპატრონე და მოუარე შენს თავსა და შენს საქმესაო.

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ, ამ თთვის 1, ეგზარხოსის ეკლესიაში, წირვის შემდეგ წაკითხულ იქმნა უმაღლესი მანიფესტი მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის გარდაცვალების გამო. მანიფესტის წაკითხვის შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ, გორის ეპისკოპოს ალექსანდრესა და ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონისა და სხვა სამღვდელოთა კრებულითურთ პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულის დიდის მთავრის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი შერემეტიევი თავისის თანაშემწით გენერალ ლეიტენანტ გრაფ ტატიშჩევითურთ, მრავალი გენერლობა და სხვა დიდ კაცობა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავრობას მოლაპარაკება აქვს მეხტი ბეგ ალა ჰუსეინ ოღლის მემკვიდრეებთან იმ შენობის შესყიდვის შესახებ, რომელშიაც მოთავსებულია ტფილისის საგუბერნიო საპატიმრო. ალა ჰუსეინ ოღლის მემკვიდრეებს თავიაანთი მამული დაუფასებიათ ათას სამას თუმნად.

⁂ პარასკევს, 31 იანვარს ბაქოს მატარებლით სპარსეთიდგან დაბრუნდნენ ტფილისში უცხოელნი: ფილოსოფიის დოქტორი ტორბენ ფეგზეუსი, ადანის ვილაეტის გენერალ-გუბერნატორი ხალილ ხალიდ ბეი, შვეიცარიელი პროფესორი ალფრედ რამელი და საფრანგეთის მინისტრის სანდო კაცი ლემერ ალბერტ ფრანსუა, რომელნიც სპარსეთში მოგზაურობდნენ სამეცნიერო აზრით.

⁂ საბჭოს უკანასკნელ კრებაზე ხმოსანმა არჯევანიძემ ჰკითხა გამგეობას, როდის გაჰხსნით ავლაბრის ქვემო ხიდსა და ციციაანთ აღმართს, რომელთა შეკვრაც დიდს ზარალს აძლევს და ავიწროებს მცხოვრებლებსაო. თანხმად საბჭოს განაჩენისა ამ საგნის შესახებ, ქალაქის თავმა მოიწვია შენობათა საქმის კომისია თანადასწრებით ქალაქის ინჟინერისა და გაასინჯა, როგორც ავლაბრის ხიდი, აგრეთვე ციციაანთ აღმართი. ხალხი ევედრებოდა ქალაქის წარმომადგენელთ—გვიშველეთ რამე და ხიდი მაინც გაჰხსენით, თორემ დავიღუპენითო. კომისიის აზრით, ხიდს არა აქვს-რა საშიში, მხოლოდ საჭიროა ძველი კედელი მეტეხის ციხისა გაიწმინდოს, აგურები გადიყაროსო. ამ საქმეს ადვილად შეასრულებს სულ სამი დღიური მუშაო. რაიცა შეეხება ციციაანთ აღმართს, მისი გახსნა-კი ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელიაო. ამის გგმო ქალაქის გამგეობამ მიიღო შესაფერი ღონისძიებანი ხიდის გასახსნელად და ციციაანთ აღმართი-კი შეკრული დასტოვა დრომდე.

⁂ დელეგატმა ცხენის-რკინის გზისამ ხმოსანმა პაშკევიჩმა წინადადება მისცა გზის გამგეობას, რომ ვერისკენ სასიარულო ვაგონებს ფარანზე წარწერილი ჰქონდეს, რომ ვერის ხიდისაკენ არის მიმავალიო. თანხმად ამ წინადადებისა, დღეის იქით ასეთი წარწერა იქმნება გამოკიდებული, რომ ღამ-ღამით მგზავრს შეეძლოს შორიდგანვე შეატყოს, რომელი ვაგონი საით მიდის.

⁂ ამ თთვის რვას ვაჭრობა იყო გორის ხიდის იჯარით გაცემისათვის. ვაჭრობა, მართალია, მოხდა და ერთს იჯარადარს კიდეც დარჩა ხიდი, მაგრამ ჯერ-ჯერობით მთავრობას არ დაუმტკიცებია ეს ვაჭრობა.

⁂ როგორც შევიტყეთ, ბ-ნს ჟლენტს (ჟიგონს), რომელმაც ამას წინად ტფილისში კ ნცერტი გაჰმართა კონსერვატორიაში წასასვლელ საშუალების მოსაპოვებლად, განუზრახავს ამ აზრითვე კონცერტი გაჰმართოს ქუთაისსა და ბათუმშიაც.

⁂ ჩვენ მივიღეთ კიდევ შვიდი მანეთი მიხეილ ცხვეთაძესაგან განსვენებულ დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 2168 მ. 40 კ., ამითი შესდგა 2175 მ., 40 კ.

⁂ ხვალ, 3 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზე დანიშნულია მორიგი კრება ტფილისის საქალაქო საბჭოსი, რომელსაც განსახილველი აქვს, სხვათა შორის, შემდეგი საგნები: მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, თუ როგორ აპირობენ გამგეობა და ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება მორიგებას ერთმანეთში; მოხსენება მისივე ობოლთა სასამართლოს მოხელეთა რაოდენობასა და ჯამაგირების გამო; ხმოსან არჯევანიძის აზრი ციციაანთ აღმართისა და ავლაბრის ქვემო ხიდის შეკვრის შესახებ; ხმ. სარაჯიშვილის აზრი, რომ ქალაქმა აიღოს არსენალის ხვრეშ-მოყრილი ქუჩა-გზა და თავად უგდოს ყური; არჩევანი ორის კანდიდატისა გამგეობის წევრთა თანამდებობისათვის; თხოვნა „ქართულ წიგნების ბეჭდვის ამხანაგობის“ გამგეობისა, რომ განგრძობილ იქმნას ვადა ქალაქის მიწის იჯარისა გამგეობის აზრის ზედ-დართვით და თხოვნა ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა, რომ ეპატიოს ჯარიმა, რომელიც შეაწერა გამგეობამ 19 ნოემბერს 1891 წელს.

⁂ დღეს, 2 თებერვალს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია ლექციები. ლექციებს წაიკითხავს ნ. პ. ტარატინოვი და შავროვი. ბილეთების ფასი—20 კ., ხოლო მოსწავლეთათვის 10 კ. თორმეტის ლექციის აბონემენტი—1 მან., მოსწავლეთათვის—50 კ. დასაწყისი 12 საათზედ დღისით. ბილეთები ისყიდება სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

⁂ 31 იანვარს ტფილისის პოლიცმეისტერმა ლ. პ. მასტიცკიმ საგუბერნიო მმართველობის მდივანისა და პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს ბ-ნ გედევანიშვილს თანადასწრებით დაჰბეჭდა ტფილისის მკვიდრ მცხოვრებთა გამგეობის კასა ამ გამგეობის ხაზინადარის გარდაცვალების გამო.

⁂ ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს განზრახვა აქვს ტელეფონები გამართოს თავის კანცელარიასა და ქალაქის ათსავე პოლიციის განყოფილებათა შორის.

⁂ გადამდებ ავადმყოფობისაგან გარდაცვალებულთა რიცხვი ტფილისის გუბერნიაში 1891 წლის ქრისტეშობისთვის განმავლობაში: ყვავილისაგან გარდაიცვალა: ტფილისში—8, სიღნაღში—2, ახალციხეში —1; მაზრებში: ტფილისისაში —9, სიღნაღისაში—21, თელავისაში (ოქტომბრიდგან 1 იანვრამდე)—23; დუშეთისაში—5, ახალქალაქისაში—1, თიონეთისაში—27. ჩუდყვავილისაგან: ტფილისისაში—1; ხუნაგისაგან: ტფილისისაში—15, სიღნაღის მაზრაში — 1; ყივანა-ხველისაგან: ბორჩალოს მაზრაში—3; სახადისაგან: ტფილისისაში—2; ახალქალაქის მაზრაში—2; ყვანისაგან: ტფილისისაში—1. სულ გადამდებ ავადმყოფობისაგან ტფილისის გუბერნიაში გარდაიცვალა: ყვავილისაგან—97, ჩუდყვავილისაგან —16, ყივანა-ხველისაგან—3, სახადისაგან—4 და ყვანისაგან—1.

⁂ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ჩვენს გაზეთში ნაამბობი იყო— სადგურს სუფსაზედ ერთი მღვდლის შვილი გურგენიძე დაკბინა გაცოფებულმა მგელმაო. ნაკბენი თავსა და მკლავზე ჰქონდა. საბრალო ჩამოიყვანეს 11 იანვარს ტფილისში საქალაქო ქსენონში, ბევრი იმეცადინეს მკურნალებმა, მაგრამ ვერა უშველესრა. უბედური 24 გაგიჟდა და 25 ამ იანვარს, შუაღამის 4 საათზე, დალია სული. დარჩა მოხუცი დედ-მამა, ახალგაზდა ცოლი და ქალ-ვაჟი, ერთი წლისა და მეორე 2 წლისა.

⁂ სუფსა: 29 იანვარს სადგურ სუფსას ახლოს ქსოვილებით მოვაჭრე თათრებს დაეცა საღამოს 7 საათზედ 4 ყაჩაღი. როგორც ამბობენ, ერთი მიქელაიშვილი და მეორე ღლონტი იყოვო. ორი სხვა ვერ უცვნიათ. ამ ვაჭრებს წაართვეს არა ნაკლებ 250 მანეთისა ფულად და საქონელიც ამდენივე. ერთი საქონლის პატრონი თათარი გაუძალიანდა და ყაჩაღებმა თოფიც ესროლეს, მაგრამ თათარი უვნებელად გადარჩა. ამ ხმაურობაზედ 30-მა კაცმა მეტმა მოიყარა თავი. ბევრმა კიდეც დაინახა ეს ვაჟბატონები, მაგრამ ხელ-უხლებლები წავიდნენ. გასაკვირალია, ამათი გულ მაგრობა: ჯერ 10 დღე არ არის, რომ დათუნაიშვილი და მეხუზლა დახოცეს და ამათ მაინც არ ეშინიათ. ამას გარდა, ყოველის ღონის-ძიებით მეცადინობს პოლიცია ამათს ხელში ჩაგდებას, მაგრამ ესენი ჯერ ისევ თავისს ნებაზე დანავარდობენ.

⁂ ოზურგეთი: მაზრის მმართველმა დეპეშა მიიღო ლანჩხუთის პოლიციის ბოქაულის ჯაფარიძისაგან, რომ ოცდა ცხრა ამ თთვისას, საღამოს 7 საათზედ რკინის გზის სადგურს სუფსაზე ფირალებს გაუძარცვავთ იქაური ფართლის მოვაჭრე ქერემ-ოღლი, რომელისათვისაც ათი თუმანი ფულად წაურთმევიათ და დანარჩენი საქონლად.

⁂ ოზურგეთი: წარსულს შაბათს ქ-ნთ რაჟკოვისა, ლაზარენკოსი და ურუსოვის თაოსნობით გამართულის სცეკვაო საღამოდგან შემოვიდა 235 მ. 45 კ. დაიხარჯა 95 მ. 38 კ. ამ ნაირად წმინდა შემოსავალი დარჩა 140 მ. 7 კ., რომელიც გაიგზავნა Въ особый комитетъ подъ предсѣдательствомъ Его Императорскаго Высочества Наслѣдника Цесаревича.

⁂ ქუთაისი: 27 იანვარს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე კახიანისა და სანაძესი, რომელთაც სასამართლოში ტყუილი მოწმობა ჰბრალდებოდათ. აი როგორ გაჩნდა ეს საქმე. დაბა ხონში შარშან მთელს კავკასიაში ცნობილის მებუკეს ნათესავს დმ. ჩხიკვიშვილს საპონი დასჭირდა, დაუძახა მოსამსახურე ბიჭს მელქაძეს, მისცა ერთი შაური და დაავალა, საპონი მიყიდეო. მელქაძე ისე არ მოიქცა, როგორც რიგიანსა და ერთგულს მოსამსახურეს შეჰფერის, შაურის მაგიერ ოთხის კაპეიკის საპონი იყიდა და ერთი კაპეიკი-კი თითონ ჩაჯიბა. ბ-მა ჩხიკვიშვილმა გამოცდილის თვალით დაათვალიერა საპონი და მაშინვე მიხვდა, ეს საპონი შაურისა არ არისო, გამოიძია საქმე და დამნაშავე ბიჭს ღირსი სასჯელი მიაყენა, ლაზათიანად გალახა. ბიჭის ტირილ-ყვირილმა მეზობელ მეწვრილმანეების ყურადღება მიიქცია და ერთმა მათგანმა ავალიანმა დაიძახა: „ნუ თუ ახლოს პოლიციელი არსად არის, რომ ამ საზიზღარს საქციელს ბოლო მოუღოსო“. ამ სიტყვებმა ორი გროშის მოპარვით განრისხებულ ბატონის ყურამდე მიაღწია. ძლიერ ეწყინა და ერთი ლაზათიანად შემოჰკრა ამ არა-მკითხე მეამბესაც. ავალიანი გაექცა, მაგრამ მეორე დღეს სასამართლოში უჩივლა ხონელს რაინდს. მოსამართლემ ჩხიკვიშვილს ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. ჩხიკვიშვილმა ეს არ იკაბულა და საქმე ოლქის სასამართლოში გადიტანა. თანაც ორი მოწმე წარადგინა—კახიანი და სანაძე. მოწმეებმა ჩვენება მისცეს სასამართლოს, რომ ავალიანმა ქვა ესროლა ჩხიკვიშვილს, ფეხი ატკინა და გამწარებულმა ჩხიკვიშვილმაც ვეღარ მოითმინა და ავალიანს შემოჰკრაო. სასამართლომ ჩხიკვიშვილს პატიმრობა 10 მან. ჯარიმად შეუცვალა. ავალიანი მაინც არ მოეშვა და ეხლა კახიანსა და სანაძეს ტყუილი მოწმობა დააბრალა. საქმე გამწვავდა. სასამართლოში ოცი მოწმე იყო დაბარებული. თუმცა მოწმების ჩვენება ბრალდებულთა წინააღმდეგი იყო, მაგრამ სასამართლომ მაინც გაამართლა. ამბობენ, რომ ეს ორ-გროშიანი საქმე და სასამართლოებში სიარული ბატონს ჩხიკვიშვილს 3,500 მანათად დაუჯდაო.

⁂ სიღნაღი: აი რა მდგომარეობაშია ქართულ წიგნების გავრცელების საქმე ქიზიყის მხარეს. წარსულის წლის ივნისის 21 გაჰმართა სიღნაღში ამხანაგობამ ა. გ. მაჭავარიანის სახელობაზე ქართულ წიგნების მაჰღაზია მოსულიშვილის სახლებში, კლუბის ქვეშ. 21 ივნისიდან ამ იანვრის 1-ლამდე მაღაზიამ შეიძინა 262 სხვა-და-სხვა ჯურა 1235 ცალი წიგნი. კომისიით აქვს სხვა-და-სხვათაგან 38 ჯურა 1199 ცალი სულ საკუთარი და საკომისიო ერთად 3134 ცალი., გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა. ამ წიგნებიდამ გაიყიდა ექვსის თთვის განმავლობაში 517 ცალი. მაღაზიის საკუთარი და 129 საკომისიო, სულ 646 ცალი.

ამხანაგობამ შემოიღო სოფლებში დღეობის დროს წიგნების ტარება და ყიდვა; ყოველ ხატობა-დღეობას ატარებს იაფ-ფასიანს წიგნებს და ავრცელებს ხალხში. აი რამდენ დღეობაში ჰქონია ამ ექვს თვეში ამხანაგობას წიგნები: ს. ვაქირში ნათლის მცემლობას (ივნისის 24-ს) გაიყიდა 3 მან. 453. წიგნი; კვირიკობას ბოდბის ხევს—70 კაპ., ფერისცვალებას ს. მაღაროში 1 მან. 35 კაპ., ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულში ს. ბოდბის ხევს 1 მან. 40 კაპ., ღვთის მშობლის შობის დღესასწაულს ს. ანაგაში 1 მან. 89 კაპ., მთავარ ანგელოზობას ს. ანაგას 1 მან. 53 კ., წმ. სტეფანობას სიღნაღს 2 მან. 15 კ., სულ ამ შვიდს დღესასწაულს გაიყიდა 12 მან. 42 კაპ.

წიგნის მაღაზიის მმართველნი ცდილობენ, რაც შეიძლება, კარგის შინაარსის წიგნები გაავრცელონ ხალხში. ამხანაგობას დიდს შემწეობას აძლევს რამდენიმე აქაური განათლებული ქართველი და სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც ძრიელ ეხმარებიან წიგნების გასყიდვაში.

ამხანაგობა აპირებს სამკითხველოს დაარსებას წიგნების მაღაზიასთან, როგორც იყო მოხსენებული გაზ. „ივერიაში; ჯერ-ჯერობით ცოტა ნივთიერი დაბრკოლება აღმოუჩნდა, მაგრამ მაინც დიდად მოწადინებულნი არიან მალე დააარსონ ეს საკეთილო საქმე.

⁂ 4 თებერვლიდგან კავკასიის გზის სადგურში „Тифлисъ-городъ“-ში, რომელიც იმყოფება სოლოლაკის ბაღის ქუჩაზე, სახლი № 34, გაიყიდება დამშეულთა სასარგებლოდ მეორე ლოტარიის ბილეთები. ქალაქს გარედ მსურველებს ბილეთები ფოსტით გაეგზავნებათ, მიღების დროს ადგილობრივ ფულის გადახდით. გასაგზავნს ხარჯს თვით ფოსტა კისრულობს. „(Нов. Обоз.“)

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლომ 30 იანვარს გაარჩია საჩივარი „ნორ-დარის“ რედაქტორისა, რომელიც გაზეთ „მშაკის“ თანამშრომელს ხ. მალუმიანს უჩიოდა, გაზეთში დაბეჭდილის წერილით ცილი დამწამაო. სასამართლომ ბ-ნი მალუმიანი გაამართლა („Т. Л.“)

*** ფოთიდგან სწერენ გაზეთს „Нов. Обоз.“-ს რომ შარშან თებერვლამდე იქიდგან ნახევარზე მეტი გაიტანეს სიმინდის მოსავლისა საზღვარ გარედაო. წლეულ-კი მხოლოდ 40 ათასი ფუთი სიმინდი გაუტანიათ და ადგილობრივ კიდევ 9 მილიონი ფუთი სიმინდი იქნება გასაყიდი. „რუსეთის გემებისა და ვაჭრობის საზოგადოებამ“ ახალწლიდგან გემების მიმოსვლა შესცვალა და გემები ეხლა ფოთშიაც შემოივლიან ხოლმე.

---

## ნაკვესი

ერთის კაცსა ჰკითხეს:
— ვინ არის ბრძენი კაციო?
— ვინც ამას არა ჰკითხულობსო.

---

## მთავრობის განკარგულებანი

დოქტორი მედიცინისა მიხეილ ავთანდილოვი და მკურნალი ნიკოლოზ ხუდადოვი 1891 წლის 23 ნოემბრის გზათა სამინისტროში მიღებულნი, ამიერ კავკასიის რკინის გზის მკურნალებად დაინიშნენ. სამსახური ჩაეთვლებათ 1891 წლის 4 ოქტომბრიდგან. ზაშკადიკლირის სათადარიგო ბატალიონის პოდპორუჩიკი თავ. ერისთავი ექვსის თვის ვადით გადაყვანილ იქნა 16 გრენადერის სამეგრელოს პოლკში.

---

## წერილი გორიდამ

(გორის საქალაქო საბჭოს კრება 24 იანვარს)

გორის ქალაქს მოურავმა და გამგეობამ დიდი ყურადღება მიაქციეს ამ წელს ლიახვის მარცხენა ნაპირის გამაგრებასა. ლიახვი, როგორც ვიცით, მთის წყალია, ერთობ დაქანებული მოდის; დაბა ცხინვალიდამ ხომ უფრო თავქვე მომდინარეობას, გაშლით მოდის და დიდ-ძალს მამულ-ადგილს ართმევს ხალხს და, ამას გარდა, ბევრს სხვა უბედურებასაც სჩადის. გორთან, სოფ. ოთარაშენს გამოსცდება თუ არა, მდინარე ლიახვი იშლება, იფანტება და გორის ქუჩებს მიეცემა ხოლმე. მარჯვენა ნაპირი მისი, რუისის მთის მხარიდამ, მაღალია, იქით გასავალი არა აქვს და მთელის თავისის ძალ-ღონით ეს გიჟმაჟი მდინარე ეხლება მარცხენა მხარესა და ყველაფერს ჰგლეჯს, რაც-კი წინ ჰხვდება. ყოველ წლივ ამაგრებენ და ამაგრებენ, მაგრამ ამაოდ; იმისთანა გამაგრებას, როგორც აქნამდის ამაგრებდნენ, გამაგრება არა ჰქვიან; ეს ჰგავს რიყეზედ უსაძირკვლოდ სახლის აშენებასა. ბევრჯელ მთელის მაზრის გლეხ-კაცობას ჩამორეკდნენ ხოლმე ხარით, ურმით, ეზიდებოდნენ აურიცხველს სიპს ქვასა და ფიჩხსა, ფიჩხს აწყობდნენ ამოთხრილს არხში და ზედ სიპს, რიყის ქვას აწყობდნენ. •ბა სიპის ქვით მთის მდინარეს როგორ გაიმაგრებდნენ და ან რა ჰკუაში მოსატანი იყო. ეს არაფერი: ამაგრებდნენ იქ-კი არა, სადაც წყალი გადმოდის, სადაც მისი შეკავება და შებრუნება შესაძლებელი იყო; ამაგრებდნენ იქ, სადაც მდინარე პირდაპირ სცემდა თვისის ძალითა და ადვილად არღვევდა ფიჩხსა და სიპს ქვასა. ამისთანა მძლავრს და ერთობ ჩქარს მდიდარეებს სხვა გვარად უნდა გამაგრება. ეს სხვა გვარი გამაგრება, დაფუძნებული ნამდვილს ტეხნიკურს ცოდნაზედ, განიზრახა ეხლანდელმა ქალაქის მოურავმა. ბ-ნმა ქალაქის მოურავმა შეადგინა გეგმა დამბისა, რომლითაც უნდა გამაგრდეს მარცხენა ნაპირი ლიახვისა; ეს გეგმა აჩვენა სპეციალისტებსა, აილო, დაილო და, როცა დარწმუნდა, რომ ასეთ ნაირად გამაგრება ლიახვისა მტკიცე იქნება, მაშინ თვისი გეგმა და აზრი მოახსენა ქალაქის გამგეობასა. გამგეობამ ქალაქის მოურავის ბ-ნ მუსხელაშვილის გეგმა და აზრი— მოხსენება მოიწონა და დაადგინა: მოხსენდეს ქალაქის საბჭოს საქმის საბოლოოდ გასათავებლადაო. რადგანაც ამისთანა დიდის საქმისათვის საჭირო იყო შეკრებილიყვნენ ბლომად ხმოსნები, ამიტომ წინადვე აგროვებდნენ ხმოსნებს, სთხოვდნენ მისულიყვნენ, დროზედ გაეთავებინათ; დაგვიანება საქმეს წაახდენს, გაზაფხული კარზედ მომდგარია, ლიახვი მალე ადიდდება და შემდეგ რაღა მნიშვნელობა ექნება გამაგრებასაო. დაინიშნა საბჭოს კრება 17 იანვრისათვის, მაგრამ საკმაო რიცხვი ხმოსანთა არ იყო და ამიტომ 24 იანვრისათვის გადაიდო. ამ დღეს-კი 19 ხმოსანი მოვიდა.

ქალაქის მოურავმა ბ-ნმა მუსხელაშვილმა საბჭოს წარუდგინა თვისი გეგმა და აზრი, შეწყნარებული და დამტკიცებული გამგეობისაგან.

ახლა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ თვით გეგმასა და მუ—ვის მოხსენების შესახებ. გეგმა გვიჩვენებს, რომ უნდა გაითხაროს არხი სოფ. ოთარაშენის პირდაპირ, ჩაიყაროს კლდე და არა სიპი ქვა; სიმაგრეს ექნება რამდენიმე საჟენი სიგანე და სიმაღლეც მისი შესაფერი, ასე რომ თუ ლიახვი ძირს გამოუთხრის, კლდე დაიწევს, გამოთხრილის ალაგს სხვა დაიჭერს და გაგლეჯა დამბისა აღარ შეეძლება.

ასეთი დამბა წამოვა პირდაპირ და მდ. მტკვარში ჩავა. რასაკვირველია, ამ სიმაგრეს ერთსა და ორს წელიწადს ვერ გააკეთებენ. მხოლოდ წელს დაწყება უნდათ ამ გვარად ლიახვის გამაგრებისა. სადაც უცრო საშიში ალაგია, წელს იქ აპირებენ ამისთანა სიმაგრის ჩაყრას. თუ ვერ გაგლიჯა, წყალი წელსვე სხვა მიმართულებას მიიღებს და გორის უმთავრესსა და უმშვენიერეს ნაწილს დაიხსნიან წახდენისაგან. ამისთანა სიმაგრის გაკეთებას ფულიც უნდა, რასაკვირველია. ადრევ რომ დააპირეს გამაგრება, საგუბერნიო მთავრობამ გამოგზავნა ინჟენერი, რომელმაც გამოიანგარიშა, რომ ლიახვის გამაგრებას მოუნდება 56000 მანეთიო. მუსხელაშვილის გამოანგარიშებით-კი 30,000 მანეთი უნდება. საწრეულოდ გამგეობამ მოურავის მოხსენებითა და აზრით ითხოვა სამას თუმნამდე: 500 მ. 1891 წ. გადადებული გასამაგრებლად, რომელიც არ დაუხარჯავთ. 500 მ. წლევანდელი (ყოველ-წლივ გამგეობას გადადებული აქვს ამ საგნისათვის 500 მ.); ასი თუმანი იმ ფულიდამ, რომელიც ამ წლის 1 იანვრისათვის დარჩა. ერთის სიტყვით, ისეთი წყაროები უჩვენეს, რომ იქიდამ აღებულის ფულით გამგეობას არა დააკლდება-რა და კეთილი საქმეც გაკეთდება. ლიახვის გამაგრებით ქალაქს შეემატება, ამბობს ქალაქის მოურავი თავის მოხსენებაში: საუკეთესო ადგილები; აქ გაშენდება უბნები; ეს ნაწილი იქნება საუკეთესო, უმშვენიერესი ნაწილი მთელის ქალაქისა, როგორც წყლით, ისე ჰავით და ადგილ-მდებარეობითაო.

ამ მოხსენებამ დიდი ბაასი გამოიწვია ხმოსანთა შორის. ექვის თვალით შეხედეს საქმეს. არც გასამტყუნარნი არიან, იმიტომ რომ, აგერ რამდენი ხანია, უსარგებლოდ ჰყრიან ფულსა და არა გამოდის-რა. ზოგიერთმა სთქვა, რომ ჩვენ ჩვენის შეძლებით ვერ გავუძლვებით მაგოდენა საქმესაო. მაშინ ქალაქის მოურავმა სთქვა, ჩვენ უნდა დავანახვოთ მთავრობას, რომ ქალაქისათვის გული შეგვტკივა; უნდა დავიწყოთ საქმე, დავანახვოთ, რომ მთავრობამ შემწეობა მოგვცეს. მთავთობას ჰსურს შემწეობა, მაგრამ ქალაქი ხელს არ აძლევს. როდესაც ჯერ ისევ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი იყო მთავარ-მართებლად ჩვენს ქვეყანაშიო, აღძრული იყო ლიახვის გამაგრების საქმეო; მთავარ-მართებელმა მოიწერა, რა ღონისძიებას იხმარს, რა შემწეობას აღმოუჩენს ქალაქი გამაგრებისათვის, რომ მეც ჩემის მხრივ შუამავლობა გავუწიო სახელმწიფო საბჭოს წინაშე, რათა შემწეობა აღმოუჩინოსო. ქალაქმა პასუხი არ გასცა და საქმე დარჩა გაუთავებლად. ეხლაც ისე იქნება, თუ ჩვენ არ დავიწყებთ საქმეს საფუძვლიანად.

ბევრის ბაასისა და მსჯელობის შემდეგ ხმოსნებმა გადასწყვიტეს, შევუდგეთ ლიახვის გამაგრების საქმეს, წლევანდლიდამაო. გეგმა წარედგინება, სადაც ჯერ არს, და დამტკიცების შემდეგ საქმესაც შეუდგებიან.

ჩვენ ჩვენის მხრით უნდა ვსთქვათ, რომ ლიახვის შემაგრება გორს ძლიერ გამოსცვლის: დასავლეთის მხარე, რომელიც ეხლა ნაგვით არის სავსე, რომელიც ერთობ უსუფთაოც არის და ჭაობიანიც, სრულიად გაიწმინდება და გალაზათიანდება. თითქმის იმდენი მამული შეემატება ქალაქს, რაც ეხლა უჭირავს და რაზედაც გაშენებულია.

---

## რუსეთი

გაზეთს „Московскія Вѣдомости“-ს გადმოუბეჭდია გაზეთ „Daily Telegraph“-იდგან შემდეგი უცნაური წერილი გრაფ ლ. ტოლსტოისა.

„რად დაიმშნენ რუსეთის გლეხნი“

„ჭეშმარიტად რომ ხსნა არ არის ამ წყეულის მდგომარეობიდამ, რომელშიაც ჩვენა ვართ ჩაცვივნულნი. საჭიროა მხოლოდ კარგად გაითვალისწინოთ საგანი და მაშინვე მიჰხვდებით მისს უაზრობას.

წარმოიდგინეთ, მთავრობამ და ერობათ ითავეს ხალხის გამოკვება! მერე ვინ არიან ესენი ამ საქმეს რომ მოჰკიდეს ხელი ან ვინ უნდა დაიფარონ იმათ ფრთეთა ქვეშე თვისთა? კეთილშობილნი მოხელენი რუსეთის იმპერიისა შებრალებისა და კაცთ-მოყვარეობისა გამო აპირობენ გამოკვებას პურის მომყვანისას, რომელიც თვით გვასაზრდოებს ჩვენ ყველას! ძუძუმწოვარა ყრმა თაობს ძუძუთივე გამოკვებას თავისის ძიძისას, მატლი (sic!) აპირობს გამოკვებას იმ ხისას, რომლიდგანაც თითონ საზრდოობს, იკვებება, სცხოვრობს და ლხინობს. უპირატესობა-მინიჭებულნი საზოგადოებანი, რომელნიც სუქდებიან და სთრცს იყრიან ხალხის დაკოპიტებულ და რაბუბრებულ ხელების მუშაობის წყალობით, რომელთაც ვერც ხელი, ვერც ფეხი ვერ შეუძლიანთ გაანძრიონ უმუშა-ხალხოდ, აი სწორედ ეს უპირატესობა-მინიჭებულნი საზოგადოებანი ზრუნავენ მუშა ხალხის გამოკვებას. თუ ამ სახით განვმარტეთ საგანი, კაცი ბევრს სასაცილოს რასმესაც შეჰხვდება ამ საქმეში.

ხალხი იმიტომ დაიმშა, რომ ჩვენ უძღრო ჭურჭლები ვართ და ყელთამდე ავსებას ვცდილობთ ჭამის დროს.

ჩვენთვის, რუსებისათვის, უფრო თვალსაჩინო და ადვილად მისახვედრია ეს საგანი, ვიდრე სხვათათვის. ალებ-მიცემის ხალხს, მაგალითად, ინგლისელებს, რომელთაც სალეველი თავიანთ ახალშენებიდგან მოსდით, შეუძლიანთ იცხოვრონ და ვერ შეჰნიშნონ-კი ეს გარემოება, რადგან იქაურ შეძლებულ კაცთა სიმდიდრე პირდაპირ მუშა ხალხის ნივთიერს ვითარებაზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ჩვენში (რუსეთში) სულ სხვა ნაირად არის საქმე. სიმდიდრე მუშა ხალხის სიღარიბეზეა აღორძინებული, ანუ უკეთ ვსთქვათ, სიღარიბე მუშა ხალხისა პირდაპირი შედეგია ჩვენის სიმდიდრისა, ასე რომ ჩლუნგის გონების პატრონსაც-კი უეჭველად შეგნებული აქვს, რადაც დაგვემშა ხალხი.

განა შესაძლებელია-კი, რომ არ დაიმშეს ის ერი, რომელი ერიც იძულებული იქნება ჩვენის ხალხისავით იტანჯოს და ყოველივე მოსათმენი ითმინოს? ხალხი ძლიერ სამძიმო ხარჯს იხდის, თავისს შემძლებლობაზე გადაჭარბებულს, მიწა აკლია, განზეა უყურადღებოდ მიტოვებული, რაიცა მას ველურობასა და ბარბაროსობას უნერგავს, და ამასთანავე იძულებულია სწიოს ულევთო შრომა, რომლის ნაყოფსაც ჩვენ ჩვენის სიამოვნებისა, დიდრაჯობისა და გართობისათვის ვიყენებთ. დიდი სასახლეები, თეატრები და მუზეები იმპერიის სატახტო და სხვა ქალაქებში აშენებული შიგ მოქცეულის სხვა-და-სხვა ძვირფასისა და იშვიათის საუნჯით განა ისევ იმ მუშა ხალხის მიერ არ არის გაკეთებული, რომელიც ამ მისთვის სრულიად უვარგისს საგნებს მხოლოდ იმიტომა ჰქმნის, რომ იცხოვროს, მაგრამ იცხოვროს ისე-კი არა, როგორც ჩვენ გვესმის ცხოვრება კაცისა, არამედ— რომ მხოლოდ დროებით მოიშოროს სიმშილი, ნიადაგ მისს კარებზე ატუზული.

აი ესეთია ყოფა-მდგომარეობა ჩვენის ხალხისა დღეს. ასეთივე იყო გუშინაც და ამ 50 წლის წინადაც. უმრავლესობა ნიადაგ ნახევრად მშიერია. ეს ერთად-ერთი და საყვარელი ღონის ძიებაა, რომლითაც ხალხს ქედს ვახრევინებთ და ჩვენთვის და ჩვენ მაგიერ ვამუშავებთ. წელს ეს გარემოება უფრო გაფართოვდა და საზღვარს გადასცდა, სხვა არაფერი“.

დანარჩენს აზრს ტოლსტოის წერილისას შემდეგ მოვიხსენიებთ.

---

## უცხოეთი

ბელგია. ბელგიის პარლამენტი წარსულ იანვრის ნახევარში შეუდგა კონსტიტუციის გადათვალიერების საგნის განხილვას. საქმე ის არის, რომ ბელგიაში სახელმწიფო წეს-წყობილება უკვე სამოცს წელიწადზედ მეტია შეუცვლელად ჰმოქმედებს, სწორედ იმ სახით, როგორც შეადგინეს 1830 წელს, ამ პაწია ქვეყნის დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ. ბელგიის კონსტიტუცია მეტად ლიბერალურს კონსტიტუციად ითვლება, რადგან სახელმწიფოს მიერ ეკკლესია სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული და განუსაზღვრელი თავისუფლება აქვს მინიჭებული სინიდისსა და სარწმუნოებას. ყოველს ბელგიელს უფლება აქვს ის სარწმუნოება აღიაროს, რომელიცა ჰსურს, და ისიც-კი შეუძლიან, რომ არც ერთი სარწმუნოება არ მიიჩნიოს თავის სარწმუნოებად; ყოველს სარწმუნოებრივს ერობას შეუძლიან თავისი საქმეები ისე ჰმართოს, როგორცა ჰსურს, სამოქალაქო მთავრობა ვერაფერს შეეხება. ხოლო ბევრ სხვა მხრივ-კი ბელგიის კონსტიტუცია დაძველებულ-დახავსებულია და განახლებ-გადათვალიერება სჭირია. ერის წარმომადგენლობა აქამდე ქონებრივს ცენზზეა დამყარებული, რომელსაც მხოლოდ ამ უკანასკნელს წლებში დაურთეს განათლებულების ცენზი. დიდი ხანია ჰგრძნობენ დასები, რომ 1830 წ. კონსტიტუციას უფრო დემოკრატიული ხასიათი უნდა ეტყობოდესო. ამ საქმეში კათოლიკენი და ლიბერალნიც-კი ერთმანეთს ეთანხმებიან. წარსულის წლიდგან-კი კონსტიტუციის გადასაწყვეტ საკითხთ მიემატა ტახტის მემკვიდრეობის საქმეც. როგორც ვუწყით, მეფე ლეოპოლდ II-ს ვაჟიშვილი არა ჰყავს, კონსტიტუციით, ტახტის მემკვიდრედ მისი უმცროსი ძმა, გრაფი ფლანდრიისა უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამ პრინცმა უკვე რამდენიმე წელიწადია უარი სთქვა მეფობაზედ და განაცხადა, რომ ეს უფლება გადამიცია ჩემის უფროსის შვილის ბალდუინისათვისაო, რომელიც წარსულს წელს ისე უცაბედად გარდაიცვალა. ამის გამო ბელგიის მემკვიდრედ რჩება მეორე და ამ ჟამად ერთად-ერთი ვაჟიშვილი გრაფის ფლანდრიისა, ჩვიდმეტის წლის, მეტად სუსტის ჯანმრთელობის ყმაწვილი კაცი, პრინცი ალბერტ-ლეოპოლდი. ვინიცობაა, ესეც გარდაიცვალა, ან ცოლი შეირთო და ვაჟიშვილი არ მიეცა, მაშინ ბელგიის მეფეთა ტახტი, კონსტიტუციის ძალით, უმემკვიდრეოდ დარჩება, რადგან ქალებს უფლება არა აქვთ ამ სამკვიდროს მიღებისა. ეხლა, კონსტიტუციის გადასინჯვის დროს, განზრახვა აქვთ დედათა სქესის ყმაწვილებს მიანიჭონ ეს უფლება და ტახტის მემკვიდრედ დაჰნიშნონ უფროსი ქალი აწინდელის მეფისა, პრინცესა ლუიზა, და იმისი მამათა სქესის შვილები. პრინცესა უკვე გათხოვილია და პრინც ფილიპპე საქსენ-კობურგ-გოტასაგან ვაჟიშვილიცა ჰყავს. ამ ჟამად უკვე გადაწყვეტილია, რომ ახალს კონსტიტუციაში საარჩევანო უფლება მეტი მიეცეს ხალხს, დეპუტატებს ქონებრივი ჯილდო დაენიშნოთ, ტახტის მემკვიდრედ ყოფნის უფლება დედათა სქესის შვილებსაც მიეცეთ და წესი იქმნას შემოღებული სამეფო გვარეულობის პრინცების ქორწინების შესახებ. ამ გვარად პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და ბელგიის სამოცის წლის კონსტიტუციას

დროთა და ამ ქვეყნის საპოლიტიკო გარემოებათა მოთხოვნილების თანახმად განახლება მოელის.

---

## წვრილი ამბავი

პარიჟში იმ არეულობის გამო, რომელიც „Ecole Centrale“-ს სტუდენტებმა მოახდინეს, ხსენებული სასწავლებელი დროებით დაიკეტა.

— ათინიდგან დეპეშებით იუწყებიან, რომ პრეფექტს უთხოვნია, არეულობის გამო ბირჟა დაკეტეთო.

— პრინცი გეორგი, რომელიც ინფლუენცით იყო ავად, ეხლა უკეთ არის.

— შოტლანდიაში მოულოდნელად თოვლი დადნა და მდინარეები ადიდდა. 50 წელიწადია, რაც ასეთი წყალ-დიდობა არა ყოფილა შოტლანდიაში. წყალმა მრავალი სახლი, რკინის გზის ხიდები წაიღო და აუარებელი საქონელი დაღუპა.

— შარშან 1891 წელს ინგლისში 4,429 წიგნი დაიბეჭდა. ამათში 727 საღვთისმეტყველო, 447 ახალგაზდობისთვის, 201 დრამა და პოემა და სხვა. რომანები და მოთხრობები იმდენი იბეჭდება, რომ ორთა შუა რიცხვით დღეში ოთხი ახალი წიგნი მოდის.

— რუმინიის სატახტო ქალაქში ინფლუენცა დღითი-დღე ვრცელდება: ყოველს 104 დაბადებულზედ ეხლა 190 კაცი კვდება თურმე. 18 იანვრიდგან უმეტესი ნაწილი დაბალისა და საშუალო სასწავლებლებისა დროებით დაკეტილია.

— მორავიაში, აგერ ოთხი თვე და ორი კვირაა, რაც მთა-მადნის ინჟინერს ლატოსს სალათას მილი დაემართა. 17 იანვარს ლატოსს გამოეღვიძა და წყალი მოითხოვა. მოსამსახურემ ერთი ფინჯანი რძე მიაწოდა და დაეკითხა, რას იტკიებო. ლატოსსმა ხმა-ამოუღებლივ ფეხებზე ანიშნა, მერე რძე დალია და მაშინვე ისევ დაიძინა.

— ამერიკაში ამ დღეებში ერთი ვექილი ღამის 2საათზე დაბრუნდა შინა. სახლის კარებთან ვიღაც უცნობი ყმაწვილი კაცი დახვდა ეტლით. უცნობი კაცი ეტლიდგან გადმოხტა და ჰკითხა ვექილს: „რომელს შტატში აძლევს კაცს ნებას კანონი, რომ თავის ბიძაშვილი ქალი ცოლად შეირთოსო?“ არ ვიციო, უპასუხა ვექილმა, მაგრამ ეხლავ მამაჩემს ვკითხავ და გეტყვიო. ვექილმა სახლში აირბინა, მოხუცი მამა გამოაღვიძა და იგივე ჰკითხა. „კანზასშიო“, უპასუხა ნამძინარევმა მამამ და ისევ ძილს მიეცა. ვექილმა კიბეზედ ჩამოირბინა და უთხრა უცნობს „კანზასშიო“. გმადლობთო, უპასუხა უცნობმა და წავიდა. რამდენისამე დღის შემდეგ ვექილს 400 მანითი მოუვიდა ჯილდოდ ამ ერთის სიტყვის დახარჯვისათვის.

---

## გასართობი

### უეჭველია!

ახ, რა მშვენიერი,
უცხო ყმაწვილია!...
არტახებშივე ხჩანს,
რაც მამის შვილია.

დედას წიხლებსა სცემს,
რა სათქმელია...
გიჟმაჟი იქნება
უეჭველ[ად]ა!

* *

ჯერ ეს პაწაწავე
რას ჭმერება წყეული:
ერთთავად ტიკტიკებს,
ენადა ქცეული;
სტყუის, არც წითლდება,
ცრუ-მეტყველია...
ვექილი იქნება
უეჭველია!

* *

ტოლები არ უყვარს,
ჭლანძღავს, ეჩხუბება...
პაწია ქალებს-კი
სწყალობს, თავს ევლება...
არვინ გადურჩება
უგონცნილია...
არშიყი იქნება
უეჭველია!

* *

დედას შვილი მოსწონს,
რგვალი ცომის გუნდა,
დასტრფის, ეკონება...
შვილს-კი სულ ის უნდა,
რომ მამის სქელს ჯიბეს
აჭკრას ხელია...
„ბანკირი“ იქნება
უეჭველია!

* *

პაწია ჭიჭყინას
დიდად უყვარს ჭორი,
სულ უნდა გაჭკილოს,
მრუდეა, თუ სწორი.
თუმც არა ესმის-რა,
უელას მთქმელია...
იჩანს, ირეცენზენტებს
უეჭველია!

* *

ყელას ეჩხუბება
ცელქი ცუგრუმელა,
ხან მმასა სცემს, ხან ბიჭს,
გააჯერა ყველა.
კბილებში უნდა ჭკრას
მუშტი-ხელია...
„პრისტავი“ იქნება
უეჭველია!

* *

ბავშს საშინლად უყვარს,
სხვის გამოჯავრება;
თავისს მამას ჰბაძავს,
მისებრ იღმიჭება;
მაიმუნობს მთელს დღეს,
დაუშლელია...
არტისტი იქნება
უეჭველია!

* *

მთელ დღეს ნავთოტსა ჭკრეფს,—
რას არ აიხარებს!—
წყლის გუბეს რომ ჭნახავს,
აკეთებს ბოგირებს;
ისიც ხიდებს ჭმართავს,
უსწავლელია...
ვანქის ხიდს გაიყვანს
უეჭველია!

* *

პაწა ფულს არ სწყალობს,
გროშს არ დაიყენებს;
თუ ჩაიგდო ხელში,
გზას მალე უჩვენებს.
ალმა-დალმა ფულის
გამფანტველია...
ქართველი იქნება
უეჭველია!..

ვ—ი

---

## დეპეშა

31 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოაცხადეს აზრი სახელმწიფო საბჭოსი: 1) საზოგადო კანონი იმისა, რომ ყოველ უფლება-ჩამორთმეულ კაცის ცოლს ნება აქვს გათხოვდეს, შეეხება აგრეთვე მაჰმადიანებსაც, თუ ნებას მისცემს მაჰმადიანთა სასულიერო კრებული და გამგეობა და 2) მონარქის წყალობით ეპატიათ სარატოვის საგუბერნიო ერობას, ქალაქს სარატოვს და კირსანოვის მაზრის მცხოვრებთ გარდასახადი, რომელსაც ისინი იხდიან ხარკად ხარატოვის რკინის გზისა.

**მოსკოვი.** „Московскія Вѣдомости“ უარ ჰყოფენ იმავე გაზეთში დაბეჭდილს ამბავს, ვათომ პოლკოვნიკმა ვენდრიხმა სამსახურიდგან დაითხოვა მოსკოვ-კურსკის რკინის გზის გამგეობის დირექტორებიო.

1 თებერვალი

**პეტერბურგი** დღევანდელს ტირაჟის დროს პირველ საქველ-მოქმედო ლოტარიისა მოგება შეჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილ. | მოგება. |
|---|---|---|
| 1,137 | 85 | 100,000 |
| 143 | 32 | 50,000 |
| 10,186 | 55 | 25,000 |
| 10,599 | 22 | 10,000 |
| 5,717 | 56 | 10,000 |
| 2,625 | 58 | 10,000 |
| 5,560 | 41 | 10,000 |
| 2,540 | 57 | 10,000 |
| 9,321 | 28 | 10,000 |
| 1,013 | 22 | 10,000 |
| 8,734 | 28 | 5,000 |
| 2,887 | 25 | 5,000 |
| 2,575 | 100 | 5,000 |
| 5,515 | 65 | 5,000 |
| 9,282 | 41 | 5,000 |
| 5,107 | 56 | 5,000 |
| 6,909 | 10 | 5,000 |
| 9,332 | 22 | 5,000 |
| 8,109 | 66 | 5,000 |
| 6,628 | 34 | 5,000 |
| 3,858 | 76 | 5,000 |
| 5,982 | 65 | 5,000 |
| 9,757 | 36 | 5,000 |
| 1,330 | 98 | 5,000 |
| 420 | 28 | 1,000 |
| 4,003 | 41 | 1,000 |
| 702 | 26 | 1,000 |
| 6,296 | 80 | 1,000 |
| 11,347 | 33 | 1,000 |
| 3,744 | 25 | 1,000 |
| 9 | 23 | 1,000 |
| 5,564 | 59 | 1,000 |
| 6,191 | 81 | 1,000 |
| 604 | 12 | 1,000 |
| 2,325 | 2 | 1,000 |
| 9,612 | 6 | 1,000 |
| 9,179 | 86 | 1,000 |
| 5,906 | 61 | 1,000 |
| 6,758 | 52 | 1,000 |
| 6,725 | 41 | 1,000 |
| 1,152 | 51 | 1,000 |
| 9,298 | 42 | 1,000 |
| 4,499 | 13 | 1,000 |
| 977 | 74 | 1,000 |
| 2,434 | 56 | 1,000 |
| 1,670 | 36 | 1,000 |
| 5,598 | 58 | 1,000 |
| 3,308 | 93 | 1,000 |
| 158 | 24 | 1,000 |
| 2,287 | 36 | 1,000 |
| 586 | 19 | 1,000 |
| 4,684 | 82 | 1,000 |
| 2,818 | 44 | 1,000 |
| 4,644 | 84 | 1,000 |
| 5,826 | 13 | 1,000 |
| 10,723 | 10 | 1,000 |
| 8,902 | 45 | 1,000 |
| 2,591 | 87 | 1,000 |
| 8,853 | 88 | 1,000 |
| 5,184 | 21 | 1,000 |
| 6,751 | 92 | 1,000 |
| 2,199 | 91 | 1,000 |
| 6,615 | 46 | 1,000 |
| 2,452 | 75 | 1,000 |
| 1,230 | 47 | 1,000 |
| 1,011 | 13 | 1,000 |

შემდეგი იქნება

### პეტერბურგის ბირჟა, 31 იანვარი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 12 | 8, 15 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $162^1/_4$ | $162^3/_4$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — „ |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 236 |
| —მეორისა . . . | 226 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — „ | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6⁰/₀. . . . . . | $102^1/_4$ | — „ | — „ |
| 5⁰/₀. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀. | $102^1/_4$ | — „ | — „ |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 | — „ | — „ |

---

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

---

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ქერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დილით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

**ფოთიდგან გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---


## განცხადებანი

სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს სადგომში

5 თებერვალს 1892 წლისა, საღამოს 8 საათზე, ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად იმ უძრავ ქონებისა, რომელიც შესწირა განსვენებულმა არუთინ ოქოევმა და რომელიც რიყის ქუჩაზეა, № 46.

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმებისა, დილის 10—12 საათამდე. (2—1)

---

დაიბეჭდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**კრილოვის არაკები**

ნათარგმნი თ. აკაკი წერეთლის მიერ

ფასი 30 კაპ.

ვინც ოცდათს ცალს ან მეტს იყიდის ერთად ნაღდს ფულზე, თითო ცალი 24 კაპეიკად დაეთმობა.

---

გამოვიდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**სახეჯმ** (?)

მეათე საუკუნისა

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბელელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.

ფასი ერთი აბაზი

(10—0—10)


Довв. ценз. Тифлисъ, 1-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.